

მფარველობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა



ბერძენთა იმპერატორის ლეონ ბრძენის მეფობის დროს მეხუთე საუკუნეში პირველ ოქტომბერს დიდებულ ვლახურის ეკლესიაში, რომელიც სტამბულში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზედ იყო აშენებული, სრულდებოდა ღამის თევით ლოცვა. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, რომელთა შორის იყო ანდრია სალოსი. ღამის ოთხ საათზე ანდრია სალოსმა აღაპყრო თვალნი თვისნი ზეცას და დაინახა, რომ ვითომც ტაძარს აღარ ჰქონდა თალები და გუმბათი და შეხედა ზეციურ დედოფალს-ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. ის ანათებდა როგორც მზე, იდგა ჰაერში და მის გარშემო იდგნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მღვდელმთავარნი, მონამენი და ყველა ზეციური ძალნი ფარავდა რა თვისი წმინდა ომფორით ქრისტაინებს, ევედრებოდა მათთვის ძესა თვისსა და ღმერთსა ჩვენსა. წმინდა ანდრიამ ჰკითხა იქვე მდგომ ეპიფანეს: “ხედავ ძმაო, ქვეყნის შუა მდგომელს?”-“ვხედავ, წმიდაო მამაო, და შეძრწუნებულ ვარ”,-მიუგო მან.

იმ დროიდგან დადგენილ არს დღესასწაული ღვთისმშობლის მფარველობისა, რომ

ქრისტიანებმა, რომელთაც უნდა ახსოვდეთ ეს სასწაული, იცოდნენ ვისდამი უნდა მოვიქცეთ გაჭირვების დროს და ვის უნდა შევსწიროთ მსხვერპლი სამადლობელი, როცა გასაჭირისაგან გავთავისუფლდებით.

“და სთქვა მარიამ: აღიდეგს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა; რამეთუ აჰა ესე რა, ამიერიდგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი, რამეთუ ჰყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი, და წყალობა მისი ნათესავითი ნათესავადმდე, მოშიშთა მისთა ზედა”.



— karibche.ambebi.ge